სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი აქტივობები

საანგარიშო პერიოდი (2017 წლის იანვარი-დეკემბერი)

პროექტები:

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (#22/04 30.12.2014) შესაბამისად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოცხადდა მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კონკურსი, სადაც მონაწილეობა შეეძლოთ ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში შემუშავდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პირობები, ჩატარების წესი, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და პროექტების შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.
საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვალერიან მელიქიძე - კომისიის თავჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში
- ✓ მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი
- ✓ ხათუნა მაისაშვილი– ასოცირებული პროფესორი
- ✓ ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა 9 განაცხადი. კომისიის შეფასებით გაიმარჯვა ოთხმა პროექტმა:

- ✓ „ახალი და ძველი ტიპის განაშენიანების მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა(თბილისის მაგალითზე)“, ხელმძღვანელი–რევაზ ჯორბენაძე

- ✓ „სტუდენტთა ციფრული წიგნიერების დონის კვლევა", ხელმძღვანელი–ამირან ბერძენიშვილი
- ✓ „ურბანული მდგრადი განვითარება: პრობლემები, პერსპექტივები. საქართველოს საპორტო ქალაქ ბათუმის მაგალითზე" , ხელმძღვანელი – თამარ დოლბაია
- ✓ „ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის საკითხი ქართულ პოლიტიკაში: სახელი სუფლებო დისკურსის ანალიზი" ხელმძღვანელი – სალომე დუნდუა

. პროექტების ნარატიული ანგარიშების ხილვა შესაძლებელია ბმულზე – https://www.tsu.ge/ge/faculties/social/research/.

საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2017 წლის 23–30 ივნისს გამართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის. საზაფხულო სკოლის მიზანი იყო გაეუმჯობესებინა დოქტორანტების უნარ-ჩვევები სწავლების, კვლევისა და ნაშრომთა გამოქვეყნების მიმართულებით. პროგრამაში მონაწილეობდა 17 დოქტორანტი როგორც თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ისე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და საქართველოს უნივერსიტეტებიდან.

საზაფხულო სკოლას უძღვებოდნენ:

- ლალე იალჩინ–ჰეკმანი – პროფესორი, მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი (გერმანია);
- იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თუბა ბირჯანი – დოქტორი, HIVA შრომისა და საზოგადოების კვლევის ინსტიტუტი (ბელგია);
- მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ნათელა დონაძე – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ნინო დურგლიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ლია წულაძე – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- ივანე კეჭაყმაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზაფხულო სკოლის ფარგლებში დოქტორანტებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებში, როგორიცაა: კვლევის დიზაინი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: მასობრივი გამოკითხვის სხვადასხვა სახეები; თვისებრივი კვლევის მეთოდები, სიღრმისეული ინტერვიუ; შესავალი SPSS-ის პროგრამაში: ჩარჩოს შექმნა, მონაცემების შეტანა, აღწერითი სტატისტიკა ემპირიული მონაცემების შეგროვებისათვის საველე სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება; წერის პროცესი. სადოქტორო ნაშრომი და მისი სტრუქტურა, საველე სამუშაოების დაგეგმვა და წერის პროცესი; მონაცემთა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ანალიზი; სწავლების მეთოდები; ფაქტორული ანალიზი. ასევე ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობები სადოქტორო ნაშრომების საფუძველზე, რომლესაც 47 აკადემიური საათი დაეთმო.



ჟურნალები

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

2015 წლის დასაწყისიდან მუშაობა დაიწყო "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" დაფუძნების მიმართულებით.

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და საშუალება მისცეს მათ, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ შემოწმებას, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეფასებას და გარე რეცენზირებას. ამგვარი სისტემა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დააგროვონ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების გამოცდილება. ჟურნალი გამოდის წლის განმავლობაში ორ ნაკვეთად.

ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ კორნელი კაკაჩია – მთავარი რედაქტორი, პროფესორი
- ✓ თეონა მატარაძე- აღმასრულებელი რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ✓ იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი
- ✓ ზურაბ აბაშიძე -ასოცირებული პროფესორი
- ✓ თორნიკე თურმანიძე_ასოცირებული პროფესორი

ჟურნალს ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- ✓ რევაზ გაჩეჩილაძე – პროფესორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სკოვაკეთში
- ✓ ზაზა ფირალიშვილი – დოქტორი
- ✓ ოლივერ რაისნერი – დოქტორი
- ✓ ფლორიან მიულფრიდი – დოქტორი

2015 წელს კრებულის პირველ გამოცემაში შემოვიდა 16 სტატია და აქედან გამოქვეყნდა _ 6, ამავე წლის მეორე ნომერში შემოვიდა 12 სტატია, გამოქვეყნდა – 4, 2016 წლის მესამე ნომერში შემოვიდა 10 სტატია და გამოქვეყნდა – 7. ამავე წლის მეოთხე ნომერში შემოვიდა 11 სტატია და გამოქვეყნდა – 7. 2017 წლის მეხუთე ნომერში შემოვიდა 7 სტატია გამოიცა –6; ამჟამად სრულდება 2017 წლის მეექვსე ნომერზე მუშაობა. მეექვსე ნომრის პრეზენტაცია გაიმართება 2018 წლის იანვარში.

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა.
ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის

ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან. წლის განმავლობაში იგეგმება ჟურნალის ოთხი ნომრის გამოშვება. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 2017 წლის აპრილში, რომელშიც შევიდა 6 სტატია. მეორე, ივლისის ნომერში, გამოქვეყნდა 7 სტატია, მათ შორის ერთი შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტისა. მესამე, დეკემბრის ნომერიშიც 7 სტატიაა და მათ შორის ერთი კვლავ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტს ეკუთვნის. 2017 წლის 15 დეკემბერს დასრულდა სტატიების მიღება ჟურნალის მეოთხე ნომრისათვის.

ჟურნალის შესახებ დეტალური ინფორმაცია შესაძლებელია იხილოთ ბმულზე – http://sjss.tsu.ge/ka/zhurnalis-shesakheb/.

კრებულები:

სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

კრებულში „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ ამავე დასახელების საერთაშორისო კონფერენციის მასალები იბეჭდება. აღნიშნული კრებულის პირველი ნომერი გამოიცა 2013 წელს, მეორე კი – 2014-ში, ხოლო მესამე და მეოთხე ნომრები ელექტრონული ფორმატით აიტვირთა კონფერენციის ვებგვერდზე, რომელშიც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა 23 სტატია. კრებულის შესახებ დეტალური ინფორმაცის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

22-24 ივნისს გაიმართა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - მდგრადი განვითარების რეგიონული ასპექტები“. კონფერენციაზე მუშაობდა 2, ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მეცნიერებთა ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები გერმანიიდან, ჩინეთიდან, აშშ-დან, ბელგიიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან. სულ წარმოდგენილი იყო 24 მოხსენება. დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე http://ssp.tsu.ge/ .

სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

29 აპრილს გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-5 ერთობლივი სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო პროგრამების მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები და მაგისტრანტები.

კონფერენციის სამუშაო თემები იყო:

საერთაშორისო ურთიერთობები: რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევები;
პოლიტიკის მეცნიერება: პოლიტიკური ტრანსფორმაცია კავკასიაში: ტენდენციები, გამოწვევები და მიღწევები;
საჯარო ადმინისტრირება: საჯარო სექტორის რეფორმირება: საერთაშორისო გამოცდილება და არსებული გამოწვევები;

ეკონომიკა: ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესის განვითარება კავკასიის რეგიონში;
ჟურნალისტიკა: გამოხატვის თავისუფლება და რეგიონული მედიის გამოწვევები - შედარებითი ანალიზი;
სოციოლოგია: თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევები კავკასიის რეგიონში.

კონფერენცია მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. მუშაობდა 5 სესია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 41 მოხსენება, აქედან 28 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. თითოეულ სესიას ჰყავდა შესაბამისი დისციპლინის აკადემიური კომისია. მათი შეფასებების საფუძველზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები.

სტუდენტური კონფერენცია „ჯანდაცვის სოციოლოგიისა და პოლიტიკის აქტუალური საკითხები“

1-ელ თებერვალს გაიმართა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტების ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ჯანდაცვის სოციოლოგიისა და პოლიტიკის აქტუალური საკითხები“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 22 მოხსენება.

მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები, საუკეთესო ნაშრომები კი გამოქვეყნდა რეფერირებად ჟურნალში „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“.

http://www.hepoins.com/index.php/component/k2/itemlist/category/13-n-3


მართლმადიდებელი მრევლის დამოკიდებულება
ევთანაზიის მიმართ
სოციოლოგიის მიმართულების ბაკალავრი –
მარიამ მამულაშვილი
ლექტორი– თემურაზ ფერღაძე მეფიფინის
აკადემიური დოქტორი პროფესორი

სტუდენტური კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ძირითადი დილემა: გეოპოლიტიკა VS გეოეკონომიკა“

27 თებერვალს საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტების ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ძირითადი დილემა: გეოპოლიტიკა VS გეოეკონომიკა“. კონფერენციის მიზანი იყო გეოეკონომიკის, როგორც ცოდნის ახალი დარგის პოპულარიზაცია საქართველოში და ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების გააქტიურება და ახალგზარდა მკვლევართა წახალისება.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20 მოხსენება. დარგობრივმა კომისიამ გამოავლინა გამარჯვებულები. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ყოველწლიური სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2017 წლის 5-6 დეკემბერს ჩატარდა სტუდენტთა 77-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო **63** მოხსენება, რომლებიც 6 სექციაში გადანაწილდა.

კონფერენციის მონაწილეები, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, შეაფასა ფაკულტეტის პროფესორებისაგან შემდგარმა 10-კაციანმა ჟიურიმ .

ჟიური:

- ვალერიან მელიქიძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი
- თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი
- სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი
- ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფესორი
- შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
- ამირან ბერძენიშვილი, პროფესორი
- ვალერიან დოლიძე, ასისტენტ-პროფესორი
- კახა ქეცბაია,ასოცირებული პროფესორი
- ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი
- სოფიო ჭავჭანიძე (თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წარმომადგენელი).
- (თსუ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების წარმომადგენელი)

გამოვლინდა ორი გამარჯვებული მოხსენება. ერთი ბაკალავრიატის, ხოლო მეორე მაგისტრატურა–დოქტორანტურის სექციიდან.

გამარჯვებული მომხსენებლები:

1) მირანდა მიქაძე, ტატიანა სიჭინავა (მაგისტრატურის III სემესტრი), ქალაქ თბილისის ძველი ტიპის განაშენიანების ტრანსფორმაცია და სამეზობლო თემი (საბურთალოს რაიონის მაგალითზე), (ხელმძღვანელი–ვალერიან მელიქიძე);

2) სანდრო ტაბატაძე (ბაკალავრიატის VII სემესტრი), ულტრამემარჯვენე გაერთიანებების პოლიტიკური პოზიციები საქართველოში(ხელმძღვანელი– კორნელი კაკაჩია)

ჩაგარული თუ მჩაგვრელი მედია
• ჩაგრული მედია კორინთოში
• მჩაგვრელი მედია კორინთოს შემდეგ
• შესაძლებელია თუ არა მსგავსი ტრანსფორმაცია - ჩაგრულიდან მჩაგვრელამდე და პირიქით;
• ჩაგრული და მჩაგვრელი მედია;

სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2017 წლის 10–12 ივლისს ჩატარდა სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს.

საფაკულტეტო კონფერენციის პირობების მიხედვით, კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ სტუდენტებს, რომელთა ნაშრომებიც სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე დადებით შეფასებას მიიღებდა. გარდა ამისა, გამოგზავნილი აბსტრაქტები განიხილა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ. სულ მიღებულ იქნა 56 აბსტრაქტი, სამეცნიერო კომისიამ კონფერენციისთვის შეარჩია 41 მოხსენება. სტუდენტების მოხსენებები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით:

1. ზვიად აბაშიძე, *ასისტენტ-პროფესორი*
2. *ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფესორი*
3. მარინა ბურძენიძე, *ასოცირებული პროფესორი*
4. ზურაბ დავითაშვილი, *პროფესორი*
5. სალომე დუნდუა, *ასოცირებული პროფესორი*
6. ხათუნა მაისაშვილი, *ასისტენტ-პროფესორი*
7. თეონა მატარაძე, *ასისტენტ-პროფესორი*
8. ვალერიან მელიქიძე *(კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი*
9. მანანა შამილიშვილი, *ასოცირებული პროფესორი*

კონფერენციაზე მუშაობდა 5 სექცია ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. თითოეული სექციიდან გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთა სტატიები გამოქვეყნდა 2017 წლის ჟურნალის მესამე ნომერში „სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში“.

გამარჯვებული მომხსენებლები არიან:

1. **ცირა გურგენიძე, ლანა როყვა,** ხალხის ხმა ბეჭდვით მედიაში (*ხელმძღვანელი – ხათუნა მაისაშვილი)*
2. **ნინო ბერიშვილი, რუსუდან კიღურაძე,** იმიგრაციის გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაზე (*ხელმძღვანელი – კონსტანტინე შუბითიძე)*
3. **მარიამ სულამანიძე, ირმა ბებერაშვილი,** მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ბავშვები და განათლება (*ხელმძღვანელი _ თეონა მატარაძე)*
4. **მარიამ მუქერია, ნატა ქირია,** რელიგიის გავლენა სოციალური ქცევის ტიპებზე (*ხელმძღვანელი – რატი შუბლაძე*
5. **თეკლე კენტელაძე, ნიკა გიგაური,** ქართული ეკლესია, როგორც სახელისუფლებო ორგანო?! (*ხელმძღვანელი – მალხაზ მაცაბერიძე*

ექსპერტული ინტერვიუ
რაოდენობრივი გამოკითხვა
1. ნახევრადსტრუქტურირებული
კითხვარით
2. ვიზუალური სოციალოგია

სამეცნიერო სემინარების სერია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება სამეცნიერო სემინარების სერია, სადაც ფაკულტეტის პროფესორები თავისი ნაშრომების პრეზენტაციას აკეთებენ. ფაკულტეტის თითოეული დეპარტამენტი თვეში 2 სემინარს მართავს. სემინარები იმართება ისეთ თემებზე, როგორიცაა რუსეთის დეზინფორმაციული პოლიტიკა, ეთნიკური იდენტობა, მიგრაციის თეორიები, გეოეკონომიკა და სხვა.

სახელმძღვანელოების პროექტი:

2017 წლის მაისში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერაბათა ფაკულტეტზე გამოცხადდა კონკურსი სახელმძღვანელოების შექმნის შესახებ.

პროექტის მიზანია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკლულტეტის სტუდენტთათვის სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნა. კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული პროექტი:

1) მალხაზ მაცაბერიძე - „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“;

2) მანანა შამილიშვილი და მარი წერეთელი - „ჟურნალისტიკისა და მასობრივი

კომუნიკაციის შესავალი“;

3) ამირან ბერძენიშვილი - „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“.

აღნიშნული სახელმძღვანელოებიდან, ორი –„საქართველოს პოლიტიკური სისტემა“ და

„თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“ უკვე ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის, ხოლო მესამე – „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“–

უახლოეს მომავალში იქნება.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ბმული: https://www.tsu.ge/ge/faculties/social/books/

თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი

თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციები ფესტივალის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 2017 წლის 8 ოქტომბერს წარმოადგინა 2015-2017 წლებში ფაკულტეტზე განხორციელებული შემდგი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1. **ქალთა შრომითი მიგრაცია: სოციალურ–ეკონომიკური გავლენა მიგრანტთა ოჯახებზე საქართველოში. მომხსენებლები: ხელმძღვანელი გიორგი გოგსაძე:** წარმოდგენილი კვლევის მიზანია ქალთა შრომითი მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური გავლენის შესწავლა ქართულ ოჯახებზე (ქუთაისის და რუსთავის მაგალითზე). კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქართული შრომითი მიგრაციის შესწავლა პირველად მოხდა მოვლენის ორივე მხარის უშუალო ჩართულობით ანუ მიგრანტისა და მისი მეუღლის მონაწილეობით. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, კერძოდ: სიღრმისეული ინტერვიუ (skype ინტერვიუ მიგრანტთა შემთხვევაში და პირისპირი ინტერვიუ ოჯახის წევრების შემთხვევაში).
2. **საქართველოს მცირე ქალაქებისა და სასოფლო დასახლებების საცხოვრებელი სექტორის (შინამეურნეობების) ენერგომოხმარების სტრუქტურის სივრცობრივი ანალიზი,** ხელმძღვანელი ვალერიან მელიქიძე: კვლევის მიზანია შინამეურნეობების ენერგომოხმარების შედარებითი ანალიზი ეფექტურობის თვალსაზრისით საქართველოს წყალშემკრებ აუზებში. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს 4 წყალშემკრები აუზის ენერგოსექტორის კვლევის შედეგები.
3. **საქართველოს საპორტო ქალაქების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. განვითარების პრობლემები და პერსპექტივები: საპორტო ქალაქ ფოთის მაგალითზე, ხელმძღვანელი თამარ დოლბაია:** კვლევის მიზანია საქართველოს საპორტო ქალაქების სოციალურ– ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და განვითარების გეოგრაფიული კანონზომიერებების დადგენა საპორტო ქალაქ ფოთის მაგალითზე. ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქის მორფოლოგია და სტრუქტურა, ქალაქის

ეკოლოგია და ეკოპოლიტიკა, ქ.ფოთის ეკონომიკური და სოციალური განვითარება (2012-2016 წწ.), მოსახლეობის დამოკიდებულება ქალაქი ფოთისა და პორტის განვითარების ტენდენციების მიმართ.

4. **„ახალი და ძველი ტიპის განაშენიანების მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა (თბილისის მაგალითზე)“ ხელმძღვანელი თეონა მატარაძე:** კვლევის მიზანია სხვადასხვა ტიპის განაშენიანების მობინადრეთა შესწავლა საქართველოს დედაქალაქში. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ტრიანგულაციურ მიდგომას და წარმოადგენს თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი) და რაოდენობრივი (გამოკითხვა) მეთოდების კომბინაციას. კვლევის შედეგები მიუთითბეს, რომ ახალი ტიპის განაშენიანებები აყალიბებს არა მხოლოდ ახალ ურბანულ სივრცეს, არამედ ქმნის ახალი ტიპის სოციალურ ურთიერთობებს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი ტიპის დასახლებებისაგან თავისი სამეზობლო ურთიერთობებით, თემის მართვის სტრატეგიითა და კონფლიქტების სპეციფიკით.